წელიწადი მე-2 ტელეფონი №76. კვირა, 27 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით ღირს 15 კ., ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კპ., უკან 20 კპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ, კნ. მიქელაძის სახლებში

№ 495 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 495

შვილები გიორგი, ალექსანდრე, ოლღა. ანნა და ნინა პავლეს ძენი და ასულნი, რძლები ელისაბედ და ალექსანდრა ივანეს ასულნი ნიკიტინისანი სიძე პოლიკარპე ალექსის ძე ახვლედიანი, შვილიშვილები ბარბალე, ალექსანდრა, თამარა, ნინა და ელენა გიორგის ასულნი, სერგო, ქსენია, ელენა, ალექსანდრეს ძე და ასულნი ნიკიტინები და კონსტანტინე პოლიკარპეს ძე ახვლედიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ პირველნი დაუვიწყარი დედის, მეორენი ძვირფასი დედამთილისა მესამე ძვირფასი სიდედრისა მეოთხენი და მეხუთენი საყვარელი ბებიისა

**თეკლე დიმიტრის ასულის ნიკიტინის**

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა ხუთშაბათს, 24 ნოემბერს. განსვენება მოხდება კვირას, 27 ნოემბერს, დილის 9 საათზე, საკუთარი სახლიდან (ინჟინერის ქ). პეტრეპავლეს ეკლესიაზე, საიდანაც წირვის შემდეგ გაასვენებენ დასაკრძალავათ ოღასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდები იქნება ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელენე ბესარიონის ასული ღულაძისა შვილებითურთ, და, ვერა სოლომონის ასული, ძმები: ანდრია, ივანე და იაკობი სოლომონის ძენი ღულაძეები და ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ღულაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი მეუღლისა, მეორე ძმისა და მესამე ბიძაშვილის

**ნიკოლოზ სოლომონის ძის ღულაძის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 27 ნოემბერს ნაშუადღევის სამ საათზე, წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს ხუთ საათზე, მესხეთის ქუჩა, საკუთარ სახლში.

---

გულდამწვარნი: დედა, მეუღლე, დები და ძმები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 28 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი გერმანიის საზღვარზე მიღებულ ჭრილობიდან გარდაცვლილი გიორგის ჯვრის კავალერიის შტაბს—კაპიტანის

**ალექსანდრე (საშა) დანიელის ძის ბეთანოვის**

სულის მოსახსენებლათ.

---

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 23.

კვირა, 27 ნოემბერი 1916 წ.

ბარრი:

## ნაპოლეონ და ჟოზეფინა

4 მოქმ. თარგმ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი კელოვანი მ., გომელაური ზ, იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 24 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**ჯავშნიანი მატარებელი**

სამხედრო, ნამდვილიდან

1 სერია

**მშობლიურ ვოლგას დაყოლებით**

(წუთიერ ნეტარებისათვის)

დრამა 4 ნაწ. კანოვისა, ნიკოლსკისა, რიმსკისა და ჩაროვის მონაწ.

**უხეირო მდგომარეობა** სახუმარო

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათიდან, 28 ნოემბრიდან ფრიად საინტერესო პროგრამა.

**გულთან ხუმრობით, გული გაგმირა**

ძლიერი დრამა 5 ნაწილად, კარამანოვისა და პანოვის მონაწილეობით.

**იმის თავგადასავალი** ძლიერ სახუმარო.

---

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან 25 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**ჯავშნიანი მატარებელი**

სამხედრო, ნამდვილიდან

**ცოდვის გამოსყიდვა**

კინო დრამა 4 ნაწილად გორიჩევის მონაწ.

**კოროტიშკინი—მაძებარი პოლიციელი**

სახუმარო.

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათიდან 28 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**ძ ლ ი ე რ ი ს ს ი ფ უ ხ თ ლ ე**

მხატვრული დრამა 4 ნაწილად. ესპერიისა და კარლო ბენეტის მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

**იშვიათი გულადი** სახუმარო.

---

## მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

**25 ნოემბერი.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სოფ. შელოვის ჩრდილოეთით მდებარე ტყეში, მოპირდაპირემ ზარბაზნების მედგარი სროლა აგვიტეხა, იერიშიც მოიტანა ჩვენს სანგრებზე და სანგრების ნაწილი აიღო. მაგრამ სამაგიერო შეტევით უკუ ვაგდეთ. გარბუზოვ-რუკალევცეს მიდამოებში მტრის ზარბაზნებმა ქარიშხალისებური სროლა აუტეხეს ჩვენს სანგრებს და მის ზურგით მდებარე ადგილებს, ამავე დროს მოპირდაპირის ქვეითა ჯარი იერიშით წამოვიდა. მტრის ორი როტა შემოიჭრა დანგრეულ სანგრებში გუკალოვცეს მიდამოებში; მაგრამ მახლობელი სანგრებიდან შევუტიეთ და წინანდელი მდგომარეობა აღვიდგინეთ. ტყიან კარპატებში ხშირი ნისლის გამო სამხედრო მოქმედება შევაჩერეთ.

**კავკასიის ასპარეზზი.**

მდგომარეობა არ შეცვლილა

**რუმინეთის ასპარეზი.**

მდ. ტრეტუშის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. ვალახეთში მოპირდაპირის ჯარი აწვება რუმინელებს, რის გამოც რუმინეთის ჯარი აღმოსავლეთისაკენ იხევს და თან მისი ზურგის ჯარი მოზღვავებულ მტერს იგერიებს. ბუქარესტი რუმინელების ჯარმა დასტოვა 23 ნოემბერს შუადღისას. რუმინელთა ჯარის წასვლისათანავე ბუქარესტის სამხრეთით მომქმედი ჩვენი ჯარიც აღმოსავლეთისაკენ დაიძრა.

24 ნოემბერი

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ასპარეზზე, ბუშავენის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით. შამპანში ჩვენმა ზარბაზნებმა ფონტენ ღორმუას ჩრდილოაღმოსავლეთით მტრის რაზმი გაჰფანტეს. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე შემოუტიეს ჩვენს წინ წაწევდილ სანგრებს „304" მაღლობის აღმოსავლეთ კალთაზე. თუმცა ტყვიისმფრქვეველთა საშ.ნელი სროლით შევხდით, მაგრამ მოპირდაპირემ ჩვენი ხაზის მოწინავე ნაწილში ფეხის მოკიდება მაინც შესძლო.

25 ნოემბრი

**პეკინი.** პარლამენტში ცხარე კამათი გაიმართა ჩშაომინხულინის ელჩად გაგზავნის გამო იაპონიაში; მას იაპონიის იმპერატორისთვის უმაღლესი ორდენი უნდა მიერთმია. ამის შესახებ უმაღლესი ბრძანება შეაჩერეს. პარლამენტის სხდომები ექვსის თვით კიდევ გაგრძელდა.

**ლონდონი.** ლლოიდ-ჯორჯმა ასკვიტის გადადგომა მოითხოვა. ასკვიტი თითონ გადადგა. ბონარ ლოუს წინადადება მისცეს სამინისტროს შედგენისა. იგი პარტიების მეთაურებს ეთათბირა, მაგრამ ვერას გახდა.

ოფიციალი ცნობა ადასტურებს, რომ ბონარ-ლოუმ სამინისტროს შედგენაზე უარი განაცხადა. მეფემ სამინისტროს შედგენა ლლოიდ-ჯორჯს დაავალა.

**ლონდონი.** პარტიათა მეთაურების თათბირი მოხდა. დაესწრო: ასკვიტი, ლლოიდ-ჯორჯი, ბალფური, ბონარლოუ და ჰენდერსონი. ლლოიდ-ჯორჯის აზრით, რაკი მცირე სამხედრო საბჭო დაარსდა, დღევანდელი სამინისტრო აღარ შეიძლება მთავრობის სათავეში დარჩეს. ამავე დროს ბუკინჰეიმის სასახლეში მთელი სამინისტროს კრება მოხდა, რომელზედაც სხვა საკითხებიც განიხილეს.

---

**ქუთაისში დროებით**

**ჩამოვიდა** თიხნარ ნიადაგის გამომკვლევი სპეციალისტი, აგრეთვე საგანგებოდ განსწავლული აგურისა და კრამიტის გამოწვა-გაკეთების საქმეში. ზედმიწევნით იცის აგრეთვე ყოველგვარ აგურხანების მოწყობის საქმეც **მისამართი:** ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია" № 10.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** ი. **ჩარქოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ზოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ქ. თფილისში დაარსდა

**მელნის ქარხანა**

**„ალაროდია"**

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,**

**ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ახლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფიგიშოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციაში, რამდენიმე ალაგას გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მედგარი იერიშები მიუტანიათ რუსების წინააღმდეგ და უკან დაუხევინებიათ. ტყიან კარპატებში რუსებმა მოქმედებმა შესწყვიტეს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.** მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა იერიშები განაახლეს ინგლისელთა ბრძოლის პირზე ორივე მხრივ იერიშები სწარმოებს.

**რუმინიის ასპარეზი.** ქ ბუქარესტი რუმინელებს 23 ოქტომბერს დაუტოვებიათ. ბუქარესტის მიდამოებიდან რუს-რუმინელების ჯარმა უკან დაიხია.

**მაკედონიის ასპარეზი** მთელ ბრძოლის პირზე სასტიკი ბრძოლები სწარმოებს

**ლონდონი.** მეფემ დღეისთვის სასახლეში მინისტრთა საბჭოს საზოგადო კრება დაინიშნა.

**პარიზი.** დღის ოფ. ცნობა გეტცერალის აღმოსავლეთით ფრანგებმა უეცარი და მარჯვე იერიში მიიტანეს გერმანელების სანგრებზე და ტყვეები წამოიყვანეს.

**ლონდონი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. საფრანგეთის სასპარეზზე დილით მარჯვედ შეუტიეთ ნევილ-სენფაასტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბოსენის დასავლეთით და როკლენკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მტრის სანგრებს. რამდენიმე დავატყვევეთ. ბოკურის, ლეშეს და მაუკეს ფერმის მახლობლად გერმანელებმა საშინელი სროლა აგვიტეხეს ზარბაზნებით. აგრეთვე ცხარე სროლა იყო ანკრის ჩრდილოეთითაც.

**კორფუ.** სერბიელთა მთავარ ბანაკის ცნობა. მთელი გუშინდელი დღე მთელს ბრძოლის ხაზზე ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით. სოფ. ბუდიმარცლის ჩრდილო აღმოსავლეთით დიდმნიშვნელოვანი მაღლობები ავიღეთ, თუმცა გერმანელ-ბულგარელთა ჯარი დიდის თავგანწირვით იბრძოდა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ყუმბარების მტყორცნელი, 100-ზე მეტი თოფი და სამხედრო მასალა.

**რომი.** იტალიელების მთავარ-ბანაკის ცნობა. ასტიკის ველში გუშინ ზარბაზნებით ბრძოლა გრძელდებოდა. მონტელარის მიდამოებში მოპირდაპირემ შეტევა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. იულის ალპების მიდამოებში ზარბაზნებისა და სანგრის მორტირების სროლაა. უფრო ცხარე სროლა იყო გორიცასა და ზღვის შუა.

რუმინეთის შუაგულ ნაწილის დაპყრობით უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მოლდავის საზღვრებზე ატეხილ ბრძოლებს, რაც წინადვე ჰქონდათ გათვალისწინებული ორივე მებრძოლის მხარეს, როცა სასტიკი ბრძოლები ასტეხეს მოლდავიის ჩრდილოეთ წვერთან, სახელდობრ, კირლიბაბას მიდამოებში.

ამ რაიონს მნიშვნელობა ეძლევა მთელი ვოლინ დობრუჯას ხაზისათვის.

რუმინიის ოპერაციის ბედი გადამწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდგან აღმოსავლეთ ვალახიაში გასამაგრებლად მოკავშირეთა ჯარს არა აქვს ხელსაყრელი პირობები და იძულებული იქნება რუმინია სრულიად დასტოვოს.

მართალია, დობრუჯაში მომქმედი რუსის ჯარი რუს-რუმინელთა ჯარის ბრძოლის პირის წინ წაწეულ მარცხენა ფრთის წარმოადგენს, მაგრამ, რაკი ვალახიით წინ წამოწეულ გერმანელ-ბულგარელები თვით შემოუვლიან ზურგიდან დობრუჯის ჯარს ხოლო უკანასკნელს კი არ ექნება ამის საშუალება, რადგანაც მას ამაში მდ. დუნაი შეუშლის ხელს

იმისათვის კი, რომ გერმანელებმა ვალახიაში მარჯვეთ წაიწიონ წინ, მათ თავის მარცხენა ფრთის უზრუნველ ყოფა დასჭირდებათ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოლდავიის საზღვრებზე უნდა განაგრძონ მათ ფართე შეტევა.

ხოლო ამის გასაადვილებლად უფრო ჩრდილოეთით უნდა განაახლონ გერმანელებმა მოქმედება. ამ აზრისაა ის იერიშები, რომლებიც, გუშინდელ დეპეშების ცნობით ავსტრიელებს გალიციის რამდენიმე ალაგას უწარმოებიათ.

ამნაირად გერმანელები იმას ესწრაფვიან რომ რუმინიის წალეკის შემდეგ თავის ბრძოლის პირი ვოლინიდან მოკიდებული შავზღვამდე აღმოსავლეთისკენ წასწიონ და იქ გამაგრდნენ

შვრელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

უცხოეთის პრესა ინგლისის სამინისტროს კრიზისს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე რუმინიაში და საბერძნეთში დატრიალებულ ამბებს, თუმცა უკანასკნელს პირველის მიზეზათ ასახელებენ.

— ჰოლანდიის სათევზაო ნავების ფლოტილია გერმანელებს დაუტყვევებიათ და კუქსჰაფენში წაუყვანიათ.

— გერმანიის ოფიციალურ ფურცლების მიხედვით ოქტომბრის განმავლობაში გერმანელებს 199,675 კაცი დაჰკლებიათ.

— ათინაში დიდი არევ დარევაა. მეფესა და სამხედრო კავშირს ქუჩებში დარბევა მოუწყვია. მემკვიდრე და ბატონიშვილები ხალხს აქეზებენ. მეფემ და დედოფალმა ჯარს ფრანგებზე თავ-დასხმა მიულოცა. ციხეები აივსო ვენიზელოსის მომხრეებით. მთავრობა მოკავშირეთა წინააღმდეგ საომრად ემზადება. აქეთ იქით გადაჰყავთ ჯარი. სთხრიან თხრილებს. არაოფიციალი მობილიზაცია ხდება ამ დღეებში პირეიზე გადაშქრებას აპირებენ. შეტაკების დროს 8 ფრანგი მეზღვაური მოჰკლეს. ინგლისელებს მოუკლეს 8, დაუჭრეს 40.

## სამხედრო მიმოხილვა

ქ. ბუქარესტის აღება ოფიციალურად დადასტურდა.

ამას თავისთავად, როგორც ეს არა ერთ გზით აღვნიშნეთ, დიდი ფასი არ აქვს. მხოლოდ ეხლა უფრო ჩქარა დაიხევს უკან, რადგანაც ის საარიერგარდო ბრძოლები, რომელზედაც გუშინ ვწერდით, უკვე დასრულებულად უნდა ჩაითვალოს და ცენტრალ კოალიციის ჯარი პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ წამოვა.

## სახელმწიფო სათათბირო

**24 ნოემბრის სხდომა.**

სხდომა იხსნება 11 ს. და 28 წ. თავმჯდომარეობს როდზიანკო.

სათათბიროს წევრი ბიჩკოვი თავის თანამდებობაზედ უარს აცხადებს.

**სასურსათო საკითხი.**

დღის წესრიგში შეტანილია მთავრობის სამი შეკითხვის განხილვა სასურსათო საქმის შესახებ.

ლაპარაკობს **შიდლოვსკი**, რომელმაც პირველმა მოაწერა ხელი შეკითხვას ორატორი ამბობს, რომ მისი მიზანია მთელი სურათი სასურსათო საქმისა რუსეთში სათათბიროს წარუდგინოს. სასურსათო საკითხად ჩვენ გვესმის არა მარტო დღევანდელი საჭიროებანი, არამედ მომავალში მისაღწევი მიზნებიც მთავრობის მიერ მოწყობილი ორგანიზაცია ამ საქმისა სრულიად მიზანშეწონილი არ იყო. ჩვენ არც კი შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ ომი ამდენხანს გასტანდა. ორატორი აჩერებს რა სათათბიროს ყურადღებას არსებულ სასურსათო ორგანიზაციებიად, აღნიშნავს, რომ სავაჭრო ორგანიზაციები შეთანხმებულნი არ არიან, რითაც რამდენათმე აიხსნება ის არევ დარევა, რომელიც სასურსათო საქმეში სწარმოებს. ჩვენ ვერ მოვაწყვეთ პურის ვაჭრობის მილიტარიზაცია, რის გამო ეხლა საშინელი ცარცვა-გლეჯის მოწამენი ვხდებით. ორატორი გადადის მტკიცე ფასებზედ და ამბობს, რომ ძირითადი შეცდომა გამოიხატება მასში რომ ეს ფასები დაწესდა მას შემდეგ, რაც პური ბაზარზედ გამოვიდა და სავაჭრო მეხანიზმი ამოძრავებულ იქმნა. უკვე შენიშნულია ტენდენცია პურის დამალვისა, რომელიც მხოლოდ მით აიხსნება, რომ ვაჭარს პურის გაცვლის დროს სჭირდება სხვა პირველ საჭიროების საქონელი, რომელიც ბაზარზედ არ იშოვება, ან ადგილზედ მიტანილი არ არის, ან-და ისეთი ძვირია, რომ მისი ყიდვა შეუძლებელია. ათავებს რა სიტყვას, დეპუტატი სთხოვს სათათბიროს, რომ სასურსათო საქმის განხილვის დროს მხედველობაში იქონიოს არა მარტო დღევანდელი საჭიროებანი, არამედ მომავალში მისაღწევი მიზნებიც.

**სიტყვა გელგუნოვისა.**

დეპუტატი აღნიშნავს, რომ სასურსათო საკითხს არას დროს არ მიუპყრია ისეთი ყურადღება, როგორც დღეს და ეს საკითხი უნდა გახდეს სათათბიროს მუშაობის ქვაკუთხედად. მთავრობის მუშაობაში სჩანს, რომ მრავალი არიან უფლება-მოსილნი, მაგრამ შეთანხმებით ვერ მუშაობენ და ხშირად სამხედრო და სამოქალაქო უწყებანი ერთმანეთს საგრძნობლად ეწინააღმდეგებიან. სასურსათო საქმის რწმუნებულთა შორის საზოგადოებრივი ელემენტი უკუგდებულია. პურის გადატან-გადმოტანისთვის წყლის გზები გამოუყენებელი დარჩნენ, მტკიცე ფასების რყევამ დიდი ზიანი მიაყენა სოფელს. სამიწადმოქმედო სამინისტრომ ამ უკანასკნელ ხანში ახალი სასურსათო ორგანიზაცია მოაწყო, რომელშიაც საგუბერნიო, სამაზრო და სოფლის საზოგადოებათა მთავრობამ შეაჩერა ამ სამინისტროს პროექტის ცხოვრებაში გაყვანა ამ პროექტის შეჩერება იმ დროს მოხდა როდესაც საშინაო და სამიწადმოქმედო სამინისტროს შორის ბრძოლა დაიწყო სასურსათო საქმის ნიადაგზედ და საშინაო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, სამიწადმოქმედო სამინისტრო წინასწარ სწყვეტს წვრილ საერობო ერთეულთა საკითხს. სამხედრო საზღვაო სამინისტროში მთავრობამ განაცხადა, რომ სასურსათო საქმე სამიწადმოქმედო სამინისტროში დარჩება და საზოგადოებრივი ძალებიც მოწვეულნი იქნებიანო. მთავრობამ ეს უნდა დაადასტუროს სათათბიროს წინაშეც. სასურსათო საქმის მოწყობა შეუძლიათ მხოლოდ ნდობით აღჭურვილ სამინისტროს (ტაში მარცხნივ).

**სამიწადმოქმედო სამინისტროს დროებითი მმართველის სიტყვა.**

ბ ნნო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! საჩქარო საქმეები, რომელნიც ითხოვენ ჩემს დასწრებას, ნამწუხაროდ, საშუალებას მისპობენ ყველა სიტყვები მოვისმინო. თქვენ ალბათ არც მოელით დღეს ჩემგან სიტყვის წარმოთქმას, რადგან მე მხოლოდ რამოდენიმე დღეა, რაც სამინისტრო ჩავიბარე, და მის წარმოდგენა შეუძლებელია; მაგრამ, როგორც კი შესაძლებელი იქნება, ჩემს პასუხს მოგახსენებთ. მე ვსარგებლობ საშუალებით, რომ ჩემი მადლობა და კმაყოფილება გამოგიცხადოთ იმის გამო, რომ სასურსათო საკითხი სათათბირომ პირველ რიგში მოაქცია და საჩქაროდ გამოაცხადა, და მით საშუალება მოგვცა დამშვიდებულათ ვიმუშაოთ. მთავრობის პასუხი უნდა იყოს სწორი და პირდაპირი, როგორც დღევანდელ, აგრეთვე მომავალ საჭიროებებზე დაც. ამის გარდა უნდა მოგახსენოთ, რომ რთულ ეკონომიურ სფეროში მე ვგულისხმობ მხოლოდ თანდათანობითი საშუალებების მიღებას და წინააღმდეგი ვარ ძველი წესების სწრაფი გატანისა.

ჩემი პასუხი იქნება წრფელი და პირდაპირი. როგორც საჭიროებს ჩვენი საერთო მუშაობისა, აგრეთვე საქმის სირთულე და პასუხისმგებლობა აუცილებლად თხოულობს ამ ორ პირობას. (ტაში მარჯვნით).

**მემარჯვენენი მემარჯვენეთა წინააღმდეგ**

მღვდელი ვილენკო გამოდის რიგს გარეშე განცხადებით და მიმართავს მემარჯვენე მღვდლებს: „ძვირფასნო მამანო, განშორდით თქვენს ადგილს! როგორ შეგიძლიათ ძალმომრეობის იდეოლოგთა რიგში ჯდომა! (ხანგრძლივი ტაში მარცხნით). თავის დროზე მათ დიდებული სიტყვა „მართლ მადიდებლობა“ დააწერეს, მაგრამ ისინი ქრისტიანულ სულის წინააღმდეგნი არიან. შემდეგ ფილენკო, როგორც თვით ამბობს, ეკლესიის ცხოვრების უმაღლეს მართველთ მიმართავს; თქვენ რაღას სდუმხართ, როდესაც თქვენს წინაშე ბნელს ძალებსა ხედავთ?

**მღვდელი პაპოვი მეორე** რიგს გარეშე განცხადების წესით უცხადებს: მესამე დღეა ჩვენ ველით, რომ მემარჯვენეთა ფრაქცია მარკოვის საქციელს დაჰგმობს.

მიაჩნიათ რა მარკოვის საქციელი მოუთმენლად, პოპოვი მეორე, გვოზდევი, ალფეროვი, სტოიანოვი, ტიტონჩუკი, სტაროდუმოვი, იგნატიევი და ბუმიჩი აცხადებენ, რომ ისინი მემარჯვენეთა ფრაქციას სტოვებენ.

(ტაში მარცხნით და ცენტრში).

1-ლ საათზე სხდომა შეწყდა.

## ქ. ქუთაისი 27 ნოემბერი.

**ქუთაისის სადგილმამულო ბანკის გამგეობისადმი.**

ომის მიერ შექმნილმა მდგომარეობამ ჩვენი ყოველმხრივი ჩამორჩენა და მოუმზადებლობა გამოამზეურა. პურიც კი არა გვქონია, არა თუ შაქარი, სანათი და სხ. ღმერთმა მოგვხედა, შარშან რომ სიმინდის კარგი მოსავალი იყო, თვარა შიმშილს ვერ გადაურჩებოდით.

მერე სირცხვილი როგორ არ არის, რიონისა, მტკვრისა და მათი შენდინარეების პატრონთ რომ ჭირნახული გვაკლდეს! ან კი ვინ არის პატრონი?! საერობო თვითმართველობის შემოღებას არა ეშველა-რა და, ახლა რომ კანონპროექტი მზადდება, ვფიქრობ, იმას ესევე უეროობა სჯობია.

არა გვაქვს კარგი თესლი, კარგი საქონელი, კარგი ნამყენი, კარგი იარაღი. არ გვაქვს სარწყავი არხები და მხოლოდ ცას შევჩერებივართ და შევტირით, იქნება წვიმა გადმოგვიგდოსთქო..

თადარიგის დაჭერა კი არ ვიცით; რადგან საკმაო ინიციატივა და თაოსნობა არ მოგვეპოება.

ამ ორი თუ სამი წლის წინეთ ქუთაისის სადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ დაადგინა, გამგეობას ბანკის წესდებისათვის სამიწათმოქმედო გაუმჯობესების ზოგიერთი მუხლი მიემატებინა და კრებისათვის წარედგინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დადგენილებამ ჩაიგდურის წყალი დალია და სული განუტევა.

მივმართავ გამგეობას [illegible] გენილებას ყურს [illegible] დრო დაგვიდგა [illegible] სიფხიზლე გვმართებს. მეორე მხრით, სავეულებელია, რომ სამეურნეო გაუმჯობესების შუამდგომლობას აწ მთავრობის მხრით დაბრკოლება აღარ დახვდება.

აი ჩემი წინადადება. ნუ გამოვუდგებით წესდების ძირიანად შეცვლას, რადგან ამაზე ვერც დასტურს მივიღებთ და იმავე დროს ეს ჩვენს საკრედიტო დაწესებულებას საფუძველს შეურყევდა და ხიფათში ჩააგდებდა.

ამიტომ ამ ჟამად მხოლოდ ეს ვითხოვოთ: მოგვცენ ნება, რომ ვასესხოთ სასოფლო საზოგადოებათ სარწყავი არხების გასაყვანად, მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად და ჰაობების დასაშრობად საჭირო თანხა იმავე პირობით, რა პირობითაც ახლა მემამულეებს სესხს ვაძლევთ, იმ განსხვავებით, რომ მათ ბანკის ვალი სახელმწიფო გადასახადივით გადახლესთ. ასეა, მაგალითად, გერმანიაში.

ცხადია, მთავრობა ამაზე უარს არ გვეტყვის, რადგან მიწების მორწყვას, მდინარეთა გამაგრებასა და ჰაობების დაშრობას — სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

იმავე დროს, ბანკი, რასაკვირველია, არა თუ ზარალს არ ნახავს არამედ დიდ მოგებას შეიძენს, რადგან სესხის დაბრუნება -სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება.

ჯერ მარტო ეს ვიკმაროთ ერთბაშად ქვეყნის აშენება შეუძლებელია და, მაშასადამე, წესდებას წვრილს გასაუმჯობესებელ ოპერაციებს ნუ დაურთავთ, რომ ამით უმთავრეს მიზანს არა ევნოს-რა.

განვიმეორებ: გამგეობა მოვალეა ამ საქმის თადარიგს ახლავე შეუდგეს და ხსენებული საკითხის შესახებ მომავალ კრებას დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს.

ვასილ წერეთელი.

# ახალი ამბავი.

დღეს ქალაქის თეატრში შუადღის 12 საათზე. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით გაიმართება ლექციების კითხვა, წაიკითხავენ ალ. წერეთელი და ს. რობაქიძე. პირველი „ინგლისის ისტორიიდან“, ხოლო უკანასკნელი—აჭარის და ლაზისტანის შესახებ.

✦ დარიბთა დახმარება. საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მდივანმა ია-ცინცაძემ გუშინ დაიწყო ღარიბებისათვის დახმარების დარიგება, რომელიც დღეს დამთავრდება.

✦ ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა, მომავალი, 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, რომლის ბალანსიც ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

✦ მტერთან მამაცობისათვის დააჯილდოეს შემდეგი ქართველი აფიცრები: წმ. ანნას მეოთხე ხარისხის ჯვრით წარწერით „მამაცობისათვის“--კაპიტანი ფერაფონტე ჩიქოვანი, წმ. ანნას მე-4—ხარისხის ჯვრით პრაპორჩიკები: სტეფანე ხავთასი, გიორგი გაბაშვილი და ალექსანდრე გამრეკლიძე. წმ ანნა მეოთხე ხარისხით, წარწერით „მამაცობისათვის“ პრაპ. აკ. შენგელია, კონსტანტინე ბრეგაძე, ნესტორ ზერიძე და ერასტი მხეიძე. წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით პრაპ. ლევან ურუშაძე

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ ცნობილი ლექტორი, ალ. გარსევანიშვილი ამ მოკლე ხანში ქალაქის თეატრში წაიკითხავს ფრიად საინტერესო ლექციას შემდეგ თემაზე: „სწავლა განათლების საქმე, ლიტერატურა და პრესა ფინლიანდიაში, როგორც მაჩვენებელი ამ განათლებული ქვეყნის კულტურისა“. ლექცია მოხდება მუსიკალური დემონსტრაციით. მეტად საინტერესო იქნება ის განყოფილება, სადაც დაიკვრება ფინური ჰანგები და იქვე შესადარებლად შესრულდება ზოგიერთი ქართული სიმღერა.

✦ დირექტორის დაბრუნება. სახალხო შკოლების დირექტორი ბ. ნ. ვიშნევსკი დაბრუნდა ბათუმიდან, სადაც წასული იყო სარევიზიოთ.

✦ ტობანიერის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორათ დაინიშნა ყვირილის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი ჟღენტი.

✦ ქალაქ ფოთიდან უკვე მიიღო ქალაქის გამგეობამ ერთი ვაგონი პურის ფქვილი და გაუნაწილა ადგ. მეპურეებს, ქალაქის გამგეობა მოელის კიდევ ფოთიდან რამოდენიმე ვაგონ ფქვილს.

✦ რკინის გზის მოსამსახურეებს ჯამაგირები გაუდიდეს. მოუმატებენ იმ პირებს რომლებიც წელიწადში ღებულობენ არა უმეტეს 750 მანეთისა, ვინც ნაკლებს იღებს იმას მეტს მოუმატებენ, 15 70 პროცენტამდე. მომატებულ ჯამაგირს მოსამსახურეებს მისცემენ ამ წლის პირველი ოქტომბრიდან.

✦ ქალაქის სასურსათო და სათვალთვალო კომისიის სხდომაზე 23 ნოემბერს, ცვლილებები იქნა შეტანილი არსებულ სურსათ-სანოვაგის ნიხრში, თანახმათ ახალი დადგენილებისა ხბოს ხორცი უნდა გაიყიდოს გირვანქა 30 კაპ., ღორის - 30 კაპ., კრუპა პერლოვის — 25 კაპ., მანნის — 25 კაპ., მარილი ფუთი 1 მ. და 30 კაპ., გირვანქა 4 კაპ., მარილი ბაქოს—1 მ. და 10 კაპ., გირვანქა 4 კაპ., ბრინჯი გირვანქა აკულა 35 კაპ., საროჩინის 32 კაპ., მაკარონი და ვერმიშელი 30 კაპ., სამარხვო ზეთი გირ. 65 კაპ. ლობიო ფუთი 4 მ. და 50 კაპ., გირ. 12 კაპ., ქართოფილი გირ. 5 კაპ., ხახვი 10 კაპ., ახალი კომბოსტო 4 კაპ, მჟარხალი —5 კაპ., სტამფილო 6 კაპ., ტარანი გირვანქა 35 კ., ფუთი საპონი 20 მან., გირ. 55 კაპ., საპონი „ტოლკესი“ ფუთი 20 მან. გირ. 55 კაპ., საპონი ადესის მე 2 ხარისხის ფუთი 16 მან. და 50 კაპ., გირ., 45 კაპ, ასანთი ლაპშინის და სხვ. ქარხნების. ათეული 50 კაპ. სანთელი ქართოფილის გირ. 1 მ. და 40 კაპ, ყველი თუშური გირ. 60 კაპ, სვანური და ადგილობრივი — 60 კაპ, კვერცხი ათეული 60 კაპ., ასი 5 მან. სიმინდი ჩრდილო კავკასიის —ფუთი 1 მ.—60 კაპ., ადგილობრივი 2 მ.—50 კაპ., ფქვილი სიმინდის ადგილ. 3 მან., ღომი ფუთი 5 მან. თივა ფუთი 1 მ და 60 კაპ., ბზე—1 მ. 70 კაპ., ქატო—1 მ.—40 კაპ., ქერი 1 მ.

70 კაპ., ნავთი ბოჭკობით ფუთი 3 მ.—50 კაპ., ფუთობით—2 მ. და 60 კაპ., გირვანქა 7 კაპ., მაზუთი ფუთი 90 კაპ., ელექტრონის ძალა საათში 30 კაპ., შეშა საჟენი თხმელის—60 მან ნახშირი ფუთი 1 მ. და 50 კაპ., საპონი ადგილობრივი I ხარისხის 19 მან. ფუთი გირ., 50 კაპ., II ხარისხის ფუთი 15 მან., გირ. 40 კაპ., საპნის ქარხნის პატრონ ბუზიაშვილის თხოვნა რომელიც მოითხოვდა, რომ განსაკუთრებული ნიხრი დაწესებიათ მის ქარხანაში დამზადებულ საპონზე არ იქნა შეწყნარებული.

ეს ახალი ნიხრი წარედგინება დასამტკიცებლად ქუთაისის გუბერნიის სასურსათო მთავარ საკრებულოს.

**გუბერნატორის კანცელარიის ცნობები.**

— სოფელ ნაესაკოვოში (სამეგრელო) ავაზაკები თავს დაესხენ ამავე სოფლის ორ კლასიან შკოლის ზედამხედველს მიხეილ კუპავას, წაართვეს მას 124 მან. და 90 კაპ. გასტეხეს სასწავლებლის შკაფი რომელშიც აღმოჩნდა 61 მან. ფული, წაიღეს ნივთები რაც ხელთ მოხვდათ და მიიმალენ.

— სოფელ ნიკიანოში (ზუგ. მაზრა) რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხა რ. კვარაცხელიას და წაართვა 40 მანეთი და მიიმალა.

— სოფელ ნაციუკავუში (ზუგდ. მაზრა) ოთხი შეიარაღებული ავაზაკები სახლში შეუცვივდენ ამავე სოფლის გლეხ ბესწპაციცაიას, წაართვეს მას ფულათ 100 მან. თამასუქი 50 მან. ნივთები 35 მან. და მიიმალენ.

# კავკასიის ქრონიკა.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი ვოლსკი შემდეგს აცხადებს: გამოქცეულ ჯარის კაცთა ოჯახებს სახაზინო დახმარება არ მიეცემათ. ამის გარდა ის ოჯახნი, რომელნიც გამოქცეულთ დამალავენ, სამართალში იქნებიან მიცემულნი. რაც შეეხება თვით გამოქცეულ ჯარისკაცებს, ისენი გასამართლებულნი იქნებიან სამხედრო საველე სასამართლოებში ომიანობის დროის კანონით.

— ამავე კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა ვოლსკიმ ახალი სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომელიც ამბობს: 1, სახლის პატრონებს ნება არა აქვთ შეცვალონ ბინის ქირის გადახდის ვადა, რომელიც არსებობდა დღემდი. 2, სახლის პატრონები მოვალენი არიან თვალსაჩინო ადგილას გამოჰკიდონ ფასი ყოველ გასაქირავებელი ბინისა 3, სახლის პატრონებს ნება არა აქვთ მდგმურს სახლი დააცლევინონ, თუ იქ დადგომა თვითონ არ უნდათ. 4, დამნაშავენი დაჯარიმებულნი იქნებიან 3000 მანეთამდე, ან დაპატიმრებულნი სამ თვემდე.

— ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების საქმეები დღითი-დღე რთულდება და აუარებელ ხარჯს ითხოვს. საზოგადოებას, რასაკვირველია, არ შეუძლიან განყოფილებათა ყველა ხარჯის გასტუმრება. ამიტომ მთავარ გამგეობას აზრად აქვს სთხოვოს განყოფილებებს, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ ნივთიერ ღონისძიებათა გაძლიერებას.

— ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს დაარსოს საზოგადოების განყოფილება ზაქათალში.

— **ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ** დეკემბრის 5-დან 15-მდი საქარაში მოზრდილთათვის გაიმართება უფასო კურსები მევინეობისა და მევენახეობისა.

— **ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** დღეს 27 ნოემბერს ზუგდიდის საკრებულო დარბაზში ილიკო ჭურხილი გამართავს ლექცია-სალამოს, რომელზედაც წაიკითხავს შთაბეჭდილებას „მოხეტიალე მუსიკოსის დღიურიდან“ და სკრიპკაზე დაუკრავს ევროპის ცნობილი კომპოზიტორთა საუკეთესო ნიმუშებს:

— **ᲐᲮᲐᲚᲡᲔᲜᲐᲙᲘ.** 23 ნოემბერს დასრულდა სამეგრელოს სამღვდელოების მორიგი წლიური კრება, რომელმაც განიხილა სხვა და სხვა საკითხები სასულიერო სასწავლებლის შესახებ. კრების დასასრულს დეკანოსმა ანტონ კეკელიძემ მოახსენა ისტორიკოსის თ ჟორდანიას გარდაცვალების ამბავი და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის. მასთან წინადადება მისცა მიცვალებულის სახელის სახსოვრად დააარსონ მისი სახელის სტიპენტია სასულიერო სასწავლებელებში. სტიპენდია იქნება ათ თუმნიანი და მიეცემა უღარიბეს მოწაფეთაგანს ყოველწლიურად კრებამ ერთ ხმად მიიღო ეს წინადადება. დასასრულ დეკანოზმა კეკელიძემ თ. ჟორდანიას სულის მოსახსენებლად მცირე პანაშვიდი გადიხადა.

— **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ** კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა გენერალმა ვოლსკიმ ახალი სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლითაც ვადის გასვლამდე სამსახურისთვის თავის დანებება ალკრძალული აქვთ იმ პირთ, ვინც სამთო დაწესებულებათა, ქარხანათა, ფაბრიკათა და სახელმწიფო დაცვას ემსახურებიან. თუ ეს მოსამსახურენი ხსენებულ დაწესებულებებში ვადის განუსაზღვრელად არიან დამდგარნი, მაშინ მათ ევალებათ დაწესებულებათა პატრონებს ორი კვირით ადრე აცნობონ სამსახურიდან წასვლა ამავე დადგენილებით აღკრძალულია ზემოხსენებული დაწესებულებებიდან მოსამსახურეთა გაწვევა. სამსახურში განცხადებისა და საგანგებო აგენტების საშვალებით. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს სამ თვემდი დააპატიმრებენ, ან 3000 მანეთამდი დააჯარიმებენ.

# ტეხნიკური სასწავლებლების საჭიროება.

ბევრმა კარგად იცოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზების გაყვანას რუსეთში. იგი შკოლების და გზების სიმცირით ითვლება ჩამორჩენილ მხარედ, მაგრამ თუ დიდ რუსეთს ამგვარი დღე დაადგებოდა უგზოობის გამო, რასაც დღეს ჩვენი თვალით ვხედავთ, არავის ეგონა.

დღეს კი გზათა სამინისტროს დიდძალი გზების გაყვანა აქს პროექტში. ეს გზები მოკლე ხანში უნდა გავიდეს. პროექტები უნდა შესრულდეს. ზოგს გზას სტრატეგიული მნიშვნელობა აქს, ზოგს კომერციული. ამ გზების გაყვანისთვას ათასი მილიონებია საჭირო, რომელნიც ასე თუ ისე უნდა ვიშოვოთ, სიძნელე მხოლოდ მასშია, რომ ინჟინერები და საერთოდ ტეხნიკური სწავლით აღჭურვილი პირები ცოტა გვყავს, ამის გამო, ფულიც რომ ბევრი ვიშოვოთ, საქმეს მაინც არაფერი ეშველება.

ორი გზათა ინჟინერის ინტიტუტები ერთი პეტროგრადში და მეორე მოსკოვში და რაოდენიმე პოლიტეხნიკუმი საქმეს წინ ვერ წასწევენ; საჭიროების მეათედსაც ვერ დაფარვენ.

ამისთვის სამინისტროს განზრახული აქს ინჟინერთა ინსტიტუტები რამოდენიმე მაინც კიდევ გახსნას; აგრეთვე სხვადასხვა ქალაქებში 20 საშუალო და 40 დაბალი ტეხნიკური სასწავლებლები მოათავსოს, რომ მექანიკოსები, მანტიორები, მემანქანენი ლიანდაგის ზედა-მხედველნი და გზათა ლიანდაგის ზედამხედველნი გამოზარდოს. თუ ეს პროექტი მოკლე დროში არ შესრულდა, რუსეთის წინ სვლა შეუძლებელია.

ამის გამო გავახსენებ ქუთაისის ქალაქის მამებს, რომ საკუთარი ყურადღება მიაქციოს ამ შემთხვევას და რაც შეიძლება მოკლე დროში დაიწყონ გზათა სამინისტროში შუამდგომლობა, რომ ქუთაისს, როგორ მილიონ მცხოვრებიან გუბერნიის ქალაქს ერთი საშვალო და ერთი დაბალი ტეხნიკური სასწავლებელი მიანიჭონ, რაც დღეს დიდ საჭიროებას შეადგენს. იშვიათი გუბერნიაა ტეხნიკური სწავლით ისე ჩამორჩენილი, როგორც ჩვენ კურთხეული ქუთაისი.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში როგორც ოლქის მზრუნველი, აგრეთვე თვით მეფის ნაცვალი მხარს დაგვიჭერს. მხოლოდ სასწავლებელთა გახსნის საკითხი უნდა დადგეს ისე, რომ ქუთაისმა თავის თხოვნა არ მოხსნას იმ შემთხვევაშიც, რომ თფილისში გახსნან ამგვარი სასწავლებელი 20 და 40 სასწავლებელში, რომლების გახსნა მიუცილებელია, მე მგონებ მთხოვნელთ შორის ქუთაის უკანასკნელ ალაგს არ მიცემენ, მით უფრო, რომ მთელ გუბერნიაში არსად საშვალო ტეხნიკური სასწავლებელი არ არსებობს,

ბ. იფლიტელი.

# შემოდგომაზე.

ქქნება ის ყვავილი,
ნაზი ხავერდიანი,
მოსთქვამს ბაღი ობლობას,
მწარი და სევდიანი

გაგვეპარა სიამე
დღე ნათელი მზიანი,
აღარ გვხიბლავს სიმღერა,
და ჩანგი ტკბილ ხმიანი.

მეც ვსტირი ვალალებ
მოვსთქვამ თვალ ცრემლიანი,
რად არს ეგრე ცხოვრება
ხან მოკლე, მსწრაფლ დღიანი.

ევგ. სიდოშვილი.

* * *
(სომხურიდან).

სტირის ღამის ბინდ-ბუნდი,
კვნესის, გმინავს ქარი ბუქი,
ვერ იხილა დაჭრილმა
არწივმა მზისა შუქი.

დაობლებულ კლდის მწვერვალს
კვლავ ვერ მისწვდა არწივი,
დაიხშო და დაბნელდა
განთიადის მზის სხივი.

დედანი კვლავ სტირიან,
გლოვობენ ვაჟკაცთ დღესა,
დაკოდილი არწივი
ვერა, ვერ მისწვდა კლდესა...

ზიო მღვიმელი.

# ბუქარეშტი.

მოსულ ნამდვილ ცნობებით გერმანულ-ბულგართა ჯარს უკვე დაუპყრია რუმინიის დედა ქალაქი ბუქარეშტი.

ბუქარეშტი 1862 წლიდან მოლდავია ვოლახიის შეერთებულ სამთავროების დედა-ქალაქად ითვლებოდა. ეს ქალაქი გაშენებულია მდინარე დიმბოვიცარ ორთავე ნაპირას, ჰაობიან ადგილებში. შესახედავად იგი ლამაზია. მას ამკობენ მრავალი ეკლესიები და ტროპიკული მცენარეები. ჯერ მარტო მოლაპლაპე გუმბათიანი ეკლესიები, რომელთა რიცხვი 400 მეტია, სჭირიან თვალს. მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატება. აქ სცხოვრობდა, როგორც სატახტო ქალაქში, რუმინიის მეფე, მიტროპოლიტი, პარლამენტი და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი. აქვეა უნივერსიტეტი, ორი ლიცეი, გიმნაზიები, სამხედრო სასწავლებლები, ნაციონალური აკადემია, ნაციონალური ბიბლიოთეკა.

გარდა ამისა ბუქარეშტი ერთი პირველ ციხეთაგანი იყო სიმაგრით და მისი აღება გერმანიელებისთვის გარდა საეკონომიო და მორალური მნიშვნელობისა, სტრატეგიულადაც ფრიად ხელსაყრელია.

„სახ. ფურ.“

# რუმინიის დაპყრობის მიზანი.

ინგლისელი პუბლიცისტი, რომელსაც ფსევდონიმად „პოლიტიკოსი“ აურჩევია, ამასწინად სწერდა: გერმანია რომ ასე გაშმაგებით იბრძვის და ენერგიულად უტევს რუმინელებს, იმით აიხსნება, რომ გერმანიამ იცის, თუ რა დიდი საეკონომიო და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რუმინიას, ამ პატარა, მაგრამ მდიდარ ქვეყანას. გერმანელებს, როდესაც რუმინიას უტევენ, ამოძრავებს არა შურისძიება, არამედ პურის, ნედლი მასალის და საქონლის საჭიროება განა ყველამ იცის, რომ სულ ახლა რუმინიას პურის ვაჭრობაში რუსეთის და შეერთებულ შტატების შემდეგ, მთელ ქვეყნიერებაზე მესამე ადგილი ეჭირა? უკანასკნელ ხანს მსოფლიო ბაზარზე მისი მეტოქე მარტო არგენტინა და კანადა იყო, მაინც რუმინიას იმდენი პური გააქვს, რამდენიც კანადას. მაშასადამე გერმანია რუმინიის დაპყრობით თავის კანადას გაიჩენს. რასაკვირველია, გერმანელები არ მოერიდებიან იმ აუარებელ ხორბლის რეკვიზიციას, რუმინიაში ომის დასაწყისიდან ამ დრომდე რომ მოგროვილა. ადგილობრივ მკვიდრთ პატარა ნაწილს დაუტოვებდნენ, დანარჩენს გერმანიაში გაზიდავდნენ.

ხორბლის გარდა, რუმინია საქონლითაც ძალიან მდიდარია მისი საქონელი გერმანიას მშვენიერად ეყოფა; დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას ხორცისა მატყლისა და ცხენებისას, ზედმეტი გადარჩება კიდევაც. გერმანიას და ავსტრიას აკლიათ ამჟამად ნავთი. რუმინია ნავთის ერთი დიდი სამრეწველო ქვეყანათაგანია. რუმინელების მაღაროებში ბლომად მოიპოვება თითბერი, ნიკელი და სხვა, რაიცა ცენტრალურ სახელმწიფოებს ფრიად ესაჭიროებათ. ერთის სიტყვით, რუმინიის დაღუპვა მოკავშირეთათვის უდიდესი უბედურება იქნებოდა. რუმინიას თუ დაიპყრობენ, ცენტრალურ სახელმწიფოებისათვის აღარავითარი მნიშვნელობა აქვს ინგლისის ბლოკადას. ამით ავსტრია-გერმანიის ძალა ერთი-ორად გაიზრდება.

არც თუ იმაზე ნაკლებია სტრატეგიული მნიშვნელობა რუმინიისა. სერბიის დაპყრობით გერმანიამ მხოლოდ ერთი რკინის გზა ჩაიგდო ხელთ სტამბოლს მიმავალი რუმინიის დაპყრობით ამ გზას სამი სხვა მიემატება. ამას გარდა, გერმანიის ხელში იქნება მაშინ მთელი დუნაი, სათავიდან შესართავამდე და ეს წყალის გზა დიდ სამსახურს გაუწევს ავსტრია გერმანიას. ამ გზით აუარებელ საქონლის და ჯარის გადაყვან-გადმოყვანა შეიძლება. დუნაი ელბასთან არის შეერთებული. ელბასა და ოუნაით გერმანელებს შეუძლიანთ შავი ზღვისაკენ წყალქვეშა ნავების მთელი ფლოტილია გაჰგზავნონ. გარდა ამისა ამჟამად გერმანია-ავსტრიის დიდძალი ჯარია დაბანდებული რუმინიის ჩრდილოეთსა და სამხრეთით. თუ რუმინია დამარცხდა, ამ ძალთა უდიდესი ნაწილი განთავისუფლდება და გერმანელებს დარჩებათ მოსაგერებლად მხოლოდ ერთი პატარა ხაზი რუმინიასა და რუსეთს შორის ადვილი წამოსადგენია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყველაფერ ამას ბალკანეთზე ომის საწარმოებლად. მოკავშირეებს დააკლდება რუმინიის 700 ათასი ჯარის კაცი, გერმანელების ძალა კი, ტრანსპორტის გაუმჯობესებით და ფრონტის შემოკლების გამო—ძლიერ გაიზრდებოდა. მაშინ სალონიკიდან შეტევაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგვეღო.

თუ ასეთი საზარალო იქნებოდა მოკავშირეთათვის რუმინიის დამარცხება, ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს რუმინიას, როგორც დამხმარეს ომის კეთილად დამთავრებისათვის. რუმინიას ცენტრალური ადგილი უჭირავს და ავსტრია-ჰუნგრეთის, ბულგარეთის წინააღმდეგ კარგ საწინააღმდეგო ბაზას წარმოაგენს აი, რატომ არის, რომ რუმინიის ასპარეზს ომისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქ რომ გერმანელები დამარცხდნენ, ამას ექნებოდა უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე მათ. დამარცხებას თვით ვერდენთან.

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, გეგმები გეგმებად დარჩა და გერმანიამ თითქმის მთელი რუმინია ხელთ იგდო.

ს. ფ.

# ლექციების კითხვა პროვინციაში.

დ. ჭიათურაში კვირას 20 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მიერ მოწვეულმა ცნობილმა ლექტორმა ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია პატივცემულ ლექტორს თემათ აელო „საქართველოს გაერთიანების მქადაგებელი სოლომონ ლეონიძე“. ლექცია ორ განყოფილებისაგან შესდგებოდა ბ-ნ ალ გარსევანიშვილმა ლექციას წარუმძღვარა წინასიტყვაობა რომელშიაც დამსწრეთ სამშობლო ისტორიის შესწავლა აუხსნა. ლექციას აუარებელი ხალხი დაესწრო, აუდიტორიის დიდ ნაწილს ადგილობრივი მუშები შეადგენდენ და დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. ლექტორმა სავსებით დაუსურათა იდეისათვის მებრძოლ სოლ. ლეონიძის სულის კვეთება და გააცნო ამ სასიქადულო მამულიშვილის ცხოვრება. ბედუკუღმართ საქართველოს დიად მოამაგისა და მოჭირნახულე სოლ. ლეონიძის სიბრძნემ და შორს მჭვრეტელობამ მსმენელებზე აღმოუფხვრელი შთაბეჭდილება დასტოვა, რასაც ძლიერ უწყობდა ხელს ლექტორის კითხვის მანერა. მდაბიო და წრფელმა კილომ მსმენელთა გული ერთიან მოინადირა და 2 საათის განმავლობაში სოლ. ლეონიძის მებრძოლი სულის ჰიპნოზის ქვეშ ამყოფა. ხალხმა ლექტორს ოვაცია გაუკეთა.

იგივე ლექცია პატივცემულმა ლექტორმა დ. საჩხერეში გაიმეორა. მიუხედავად იმისა, რომ ლექცია ექსპრომტად მოეწყო და ბევრმა არც კი იცოდა, დარბაზი სავსე იყო მსმენელებით. დამსწრეთ ლექცია მოიწონეს როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით დასასრულ დამსწრეთ სთხოვეს ლექტორს, რომ სისტემატიურად იკითხოს მან დ. საჩხერეში [illegible] ისტორიულ [illegible] ლექციე[illegible]ბი. ლექტორი ტაშის [illegible] დაჯილდოვეს.

ჭიათურელი მუშა.

# სიძვირე და მასწავლებელი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვეულებრივს კალაპოტში ვითარდებოდა ცხოვრება, როცა ნორმალური მსვლელობა მოვლენების ასე თუ ისე ისტორიულ გზას ადგა, მასწავლებელთა მდგომარეობა აუტანელი იყო. მაშინაც კი, როცა მოზღვავებული სანოვაგე ვაჭართა საწყობებში ლპებოდა და ბაზარი სავსე იყო სურსათით, მასწავლებელი დიდ გაჭირვებას განიცდიდა აუტანელი სიმშილის ბრჭყალებში. ახლა ხომ ერთი ასად და ათასად გაუარესდა პირობები. თავი დავანებოთ უფლებრივ მხარეს, გვერდზე დავსტოვოთ სულიერი საზრდო, ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ საშინელ ატმოსფერას, რომელიც ღრღნის მასწავლებლის სულსა და გულს, რომელიც სწამლავს მის არსებას და სათამაშო ნივთად ჰხდის მას. ჩვენს კურთხეულ დროში ვინ არ არის შევიწროებული? დამეთანხმებით, ყველას აწევს გულზე მძიმე ლოდათ არსებული ზდგომარეობა და მით უმეტეს მასწავლებელს, იმ მასწავლებელს?, რომელიც რკინის მუხრუჭში მომწყვდეულ ერს წყნარად ემსახურება. იტანჯება ერი, სულს ლაფავს ქვეყანა და მასწავლებელიც ნადგურდება, მისს არსებასაც შხამ ნაღველი ავსებს, რადგანაც იგი შვილია, ღვიძლი შვილი იმ მრავალტანჯული ერის. აუტანელია უფლებრივი მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა, აუტანელია ის პირობები, რომელიც გულის საკლავად ჰგმინავს მღვთისმშობლის წილხდომილ საქართველოს დაჭრილი შვილი, მაგრამ იგი მაინც არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, გულს არ იტეხს, მომავალს შესცქერის იმედიანად, რადგანაც სწამს, რომ მოელის რაღაც სანატრელი, ახალი მერმისი.

ავილოთ ჩვენსავით, და შეიძლება უფრო მეტადაც, სუსტი მეზობელი ისიც იმის ცდაშია, რომ როგორმე ერთი წიხლი შეგვთავაზოს, ერთი ბუმბული მაინც გამოაძროს ჩვენი ერის დაჭრილი ფრთიდან, დიახ, ყველანი შემოგვესიენ.

მაგრამ ტყვილა იხარჯება ტყვია წამალი. ჩვენი ერი თუმცა დაიარავებული, დაჭრილი და დაავადმყოფებულია, მაგრამ არა დავრდომილი და სიკვდილის აგონიაში მყოფი, არამედ კვლავ მებრძოლი და პატიოსანი, კვლავ ცოცხალი და ფეხზე მდგომი, კვლავ იმყოფება ძლიერს რაზმში. მას სიცოცხლე სწყურია, იგი სიცოცხლისთვის იბრძვის და კიდეც გაიმარჯვებს. ამის ნიშნები უკვე სჩანს.

რა თქმა უნდა ეს იმედი მასწავლებელსაც აძლევს ერთგვარ ძალას, ძალას შემომქმედს და ამ ძალით იგი სასურველ ეროვნულ საქმესაც მეთაურობს, მოზარდ თაობას, რომელიც, ეჭვი არ არის, მომავალში ეროვნული მებრძოლი რაზმის ავანგარდი უნდა გახდეს, უღვივებს გულში მამულისადმი მტკიცე სიყვარულს და აჩვევს მას ჭეშმარიტება-სიმართლისადმი სამსახურს, თავის დადებას. ეს ასეა, მაგრამ ის პირობები კი, რომელშიაც უხდება მუშაობა ქართველ მასწავლებელს, უსაშინელეს რამეს წარმოადგენენ. წინადაც სჩიოდენ—სიმშილ-წყურვილი სულს გვიხუთავსო და ეხლა ხომ სრულიად საშინელ მდგომარეობაში ამოყვეს თავი. ყველაფერი გაძვირდა. ფასებმა საზღაპროდ აიწიეს. ერთი მხრით—საქონლის უქონლობა და მეორეს მხრით—სპეკულიანტთა აღვირახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნილი თარეში გახდა ის მიზეზი, რამაც 400—500 პროცენტით გააძვირა პირველ-მოთხოვნილების საგნები. გადმოზიდვის მოუწესრიგებლობამ ხომ სრულიად შეუძლებელი გახადა საჭირო ნივთთა შეძენა. ასეთმა განწყობილებამ შექმნა მთელი ქვეყნისთვის ის აუტანელი პირობები, რომელსაც ზევით მოგახსენებდით. არამკითხე „მესვეურთა" თარეშმა და ჩვენმა დაუდევრობამ ხომ ხელი მოგვითავა. დღე დღეს მისდევს. მდგომარეობა უარესდება. ჰქრება ის ლამპარიც, რომელიც ოდნავ მაინც ბჟუტავდა ქარიშხლიან უკუნით ბნელში და ჩვენ ყურზე გვძინავს. პატარა ბავშვივით გვაჩუმებენ (ან კი როდის ვსთქვით გაბედული სიტყვა?), გვიყოლიებენ; წაგვიმატეს თვეში ორი თუმანი, გაგვიხადეს სულ ხუთ თუმნად და ამით ლამობენ ჩვენს გადარჩენას. ჩვენთვის ხმას არვინ იღებს. ჩვენი პრესაც უკანა რიგში აყენებს მასწავლებელთა საკითხს, მაგრამ მაინც არა გვმართებს გულის გატეხა. ვსთქვათ, თუ დაგვიჯერებენ,

მაშ,

კვლავ მედგრად ვიაროთ ჩვენი გზით

თორემ პოეტისა

არ იყვეს „რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი, რომა აჩეჩოს მარტო მიწანი და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს, რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას".

სოფლის მასწავლებელი.

## ძველი ქართული გალობა და მისი ბედი.

(დასასრული).

არ შემიძლია არ ვამხილო ის რეცენზენტები რომლებმაც მღ. ხუნდაძის ბანზე აისროლეს. როგორც, ეხლაც ჩვენ ბეჩავრულ ქვეყნის შვილებს ერთი დიდი ნაკლი აქვსთ და მიუხედავათ იმისა, რომ ამ ნაკლს და მის ცუდ გავლენას ყველა კარგად ჰგრძნობს—იგი მაინც უკურნებელ სენათ გარდაქცევიათ, და ჩვენდა სამწუხაროთ, დღესაც ძვირათ თუ შეხვდებით ისეთ ქართველს, რომელიც ასეთი გრძნობით გამსჭვალული არ იყოს—ეს გახლავთ პირადი ინტერესი ურთი ერთისადმი და ალვირ ახსნილი თავ მოყვარეობა... და ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს გრძნობა იყო მიზეზი იმისა, რომ მამა ხუნდაძის შეკითხვას პროტესტი განუცხადეს... ახლა ესეც ვიკითხოთ ვინ ბრძანდებიან ეს უარის მყოფელნი?

— ჩვენი სულიერი მამა-მოძღვრები და სხვა არივინ! აქაო და რაღა მაინც და მაინც ერთმა მღვდელმა წამოაყენა ეს საკითხი, რაღა მას შეუძლია ამის განხორციელება, რად არის იგი ზედ მიწევნით ძველი გალობის მცოდნე და ჩვენ ასაო?! აი მხოლოდ ამ მცირე შურით ალსავსე მოსაზრებით გამოიხატებოდა ხუნდაძის წინააღმდეგ გალაშქრება, თორემ არ დავიჯერებ იმას, რომ მათაც კარგათ არ ესმოდეთ შეკითხვის შესრულების აუცილებლისაჭიროება...

მაგრამ, დავანებოთ თავი მათ კინკლაობას და შევეკითხოთ საერო პირებს: თავად-აზნაურობას, მოწინავე გლეხობას და ნამეტურ კი მასწავლებლებს, რომლებმაც დანამდვილებით იციან თუ როგორაა საქმე და გულხელ დაკრეფილი შესცქერიან ამ საგნის უკანასკნელი წუთების განცდას.. ნუ თუ ჩვენც ისე დავკნინდით, რომ ეს მცირე საქმე ვერ გავაკეთეთ?!

თუ კი ჩვენმა ძველებმა თავი დასდევს სამშობლოს მთლიანობისათვის, მიიღეს ჭეშმარიტი სარწმუნოება და მის დასაცავათ ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით მედგრათ ებრძოდენ უანგარიშო მტრებს და ამ რიგათ ყოველ გვარი თავიანთი ზნე ჩვეულობანი უნაკლოთ და უკლისათ გვიანდერძეს-ჩვენ რაღა გვიშლის ხელს, რომ ეს „ხელი ხელ საგოგმანები" გზა მზარეული საქმე დავანგრიოთ და განვდევნოთ ჩვენის ხსოვნიდან?! ეს ხომ სირცხვილი და სულიან-ხორციანა დაცემა იქნება და მეტი არაფერი!..

შესაძლოა დღეს ბევრმა ამ ჩემ წერილზე კიდევაც გაიცნოს და სთქვას: რა დროს გალობის ნოტებზე გადაღებაა ქვეყანა მსოფლიო ომის ქარცეცხლის ბორუსშია გახვეული და ქალღდისა და მუშის ხელფასი საზღაპროთ არის აწეულიო,—ამაზე მეც დაგერწმუნებით, რომ ასეა, მაგრამ შესაძლოა ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, სიძვირეც შეიქნეს და ამასობაში ვენი ორიოდე ძველი მგალობლებიც და გვეკარგონ და მერე ხომ ვეღარას გვიშველის უბრალოთ თითებზე კბენანი...

მართალია. ყველაფრის დიდი სიძვირეა, მაგრამ დღეს ღვთის მადლით, წასულ წლებთან შედარებით, ჩვენს ქვეყანას საკმაოთ მოევლინა კულტურული დაწესებულებანი, როგორიც არიან მაგალითად: შემნახველ-გამსესხებელი, საკრედიტო, კოოპერატიული და სხვა მრავალი ამხანაგობანი, რომლებიდანაც უსაყვედუროთ შეგვიძლიან ვისარგებლოთ და წლიური წმინდი მოგებიდან მოგვეცეს და შეგროვდეს იმოდენი თანხა, რაც ამ საქმისთვის საჭირო იქნება და თუ ეს არ იკმარებს დანარჩენს სრული დარწმუნებული ვარ მოგვაწოდებს ჩვენი სოფლის მასწავლებლები, რომლების მდგომარეობა ეკონომიურათ ამ ბოლო დროს უკვე გაუმჯობესებულია; იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ საქმეს სხვაც ბევრი აღმოუჩნდება გულ შემატკივარი და ცოტაოდენ წვლილს ყველა გამოიღებს და ეს საქმე ამ რიგათ განხორციელდება. მხოლოდ საჭიროა ენერგიული მოქმედება და რიგიანი მეთაური.

ვსთხოვ პირველათ ამ საკითხის აღმძვრელს მამა რ. ხუნდაძეს—მოგვმართოს მასწავლებლებს, რომლებიც ზემოხსენებული კულტურული დაწესებულების მმართველ გამგეები არიან და დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ ამ საქმეში ყველა დახმარებასა და ყოველ მხრივ სრულ თანაგრძნობას გაუწევთ და ეს კეთილი საქმე სულ მალე ღირსეულად დაგვირგვინდება.

მასწ. ალექ. ხარატიშვილი.

## თეატრი და ხელოვნება.

### აშუღების საღამო

ხუთშაბათს 24 ნოემბერს ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართა თბილისიდან განსაკუთრებით მოწვეულ აშუღების საღამო, დასტას მეთაურობდა ცნობილი აშუღი ჰაზირა. კონცერტი ქუთაისელებისათვის თითქმის სრულიად ახალი ხილი იყო და ამიტომ თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. აშულთა ამ დასტის ღირსებაზე ლაპარაკი მეტია, მან დიდი ხანია აღმოსავლეთის ძველი ჰანგების საუკეთესო შემსრულებლის სახელი მოიხვეჭა. თუმცა აღმოსავლეთის ჰანგებზე აღზრდილ სერიოზულ მუსიკას ვერ დააკმაყოფილებს ამ დასტის ხელოვნება, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ დღეს ჩვენს ხალხს, და საზოგადოებას ევროპიული არღნის ღრიალი უფრო აინტერესებს, ვიდრე აღმოსავლეთის მარტივი, მაგრამ პირდაპირ ღვთიური ჰანგები. აშუღებს ძვირად უღირთ ის, რომ დღემდე მათ არ დაუნებებიათ თავის ძვირფას ხელოვნებისათვის თავი. რომელიმე მესამე ხარისხოვანი ტრომბონისტი ათჯერ მეტს იღებს ვიდრე თარისა და ჭიანურის სერიოზული დამკვრელი. და თითქმის სრულიად დავიწყებულია ჩინებულ ჭიანური, რომელსაც მხოლოდ ევროპის ბურჯის დედაბოძი სკრიპკა შეედრება ძლიერი გრძნობის გადმოცემაში. აღმოსავლეთის მუსიკას საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენე ბურს ევროპაში უფრო აფასებენ, ვიდრე ჩვენში.

ამ ორიოდე წლის წინად ევროპაში ფურორი მოახდინეს ჰინდიელმა დამკვრელებმა რომელთა საკრავები ჩვენი საკრავების წინაპარებს (პროტოტიპს) წარმოადგენენ.

არავითარი თეატრი, სკოლა და ლიტერატურა აშუღების მუსიკას არა აქვს, გარდა საქეიფო ბაღებისა და ქუჩისა, მაგრამ მიუხედავად ამისა აღმოსავლეთის მუსიკა თუ არ განვითარდა საერთო გულგრილობის გამო, შეინარჩუნა მაინც ის სახე და შინაარსი, რომელიც ჩვენს წინაპრების სიამოვნებას ჰგვრიდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აშულთა საღამოზე საინტერესო იყო მეჭიანურისა და მეთარეების მიერ შესრულებული რამდენიმე ძველი ჰანგი.

ალსანიშნავია, ერთი გარემოება. ჰაზირას დასტის ნაკლს შეადგენ მხების სისუსტე. ეს არც გასაკვირველია ამისთანა პირობებში უხდებათ აშულებს ცხოვრება, რომ გასაკვირველია როგორ შეინარჩუნეს არამცთუ ხმა, რომელსაც დამუშავება და მოვლა უნდა, არამედ ის რომ დაკვრის უნარი აქვთ კიდევ.

საზოგადოების ყურად ღება მიიქცია ახლგაზდა მეჭიანურემ რომელსაც სოლო დააკვრევინეს და გაამეორებინეს.. დასასრულს უნდა ვსთქვათ იმას, რომ ზოგიერთ მსმენელს არ მოეწონა ევროპიულ ჰანგების შესრულება და მართლაც არ იყო ეს საჭირო, რადგანაც ევროპიული ჰანგები აზიური საკრავების გადმოცემით თავიანთ ელფერს ჰკარგავენ.

№№

## პროვინციის ცხოვრება.

— **სოფ. ჭორვილაში.** სნოვაგის უშოვრობამ ძრიელ შეგვაწუხა; არც ქერდები გვანებებენ თავს. ამ დღეებში გ. მაჭავარიანს მოჰპარეს ძროხა, ღირებული 100 მანეთად

— **საჩხერე.** ნავთი მოვიდა, მაგრამ გირვანქა 8—9 კაპ. იყიდება. შაქარი სულ არ იშოვება.

— **უშაფათი.** მთავრობას გადაუწყვეტია უშაფათის საზოგადოება ფოცხოს საზოგადოებას შეუერთოს. ხალხი ამ განკარგულებით უკმაყოფილოა სახეში აქვთ უშაფათის საზოგადოების ერთი მოზრდილი სოფელი ბეთლემი ნაქალაქევის საზოგადოებას მიაწეროს. ამ სოფელს ნაქალაქევიდან ყოფს მდინარე ტეხური და დიდი გორა, რაც მისვლა მოსვლას ნაქალაქევთან ძრიელ აძნელებს.

— **სოფ. ლიხაინდრავო.** საზოგადოებაში დაინიშნა მთავრობის მამასახლისი რამდენიმე დარაჯით.

— **სოფ. საცულეისკიროს.** ბიროტგამზრახველებმა მუქარის წერილით ადგილობრივ მღვდელს 200 მანეთი მოთხოვეს. ამ გვარი—წერილი, როგორც ამბობენ, სხვებსაც მისვლია.

— **სოფ. საჯიჯაონი.** გადაწვეს მთასხლე ჭანთურია. ბოროტგამზრახველები ჯერ არ აღმოუჩენიათ.

— **სოფ. ჯაპიშაქარი.** დარაჯებმა მოკლეს ეჩხვი ზარანდია.

— **სოფ. ფოცხო.** საზოგადოებაში ქცის თავები აირჩიეს.

— **ლეჩხუმი.** „თან. აზრს" წერენ: აქ ერთი გლეხი—მარკოზ ლეკიშვილი გარდაიცვალა, განსვენებულის ჭირისუფლებმა მის სახსოვრად სქველმოქმედო საზოგადოებას შესწირეს 20 მან. და 30 მანეთი სამკითხველოს, ეს აქ პირველი მაგალითია. შეიძლება ამ გვარ ქველმოქმედებას მიმბაძველობაც გამოუჩნდეს. სოფლებში საქონლის ჭირია.

— **ლანჩხუთი** ამ შემოდგომაზე ზაფხულივით დარები დაიჭირა. მუშაობა გაჩაღებულია. ამზადებენ და მოქონდათ ამისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა, მაგრამ საქონლის ჭირმა უველას თავზარი დასცა. მუშაობა შეჩერდა, ხალხს საქონელი ხელიდან ეცლება. ჩარჩები ყიდულობენ ჭირიან საქონელს და ბათუმში აგზავნიან ვაგონებით. ექიმებისაგან მოწმობის შოვნას ადვილად ახერხებენ. მეყასბეებიც უხვად ასაღებენ ჭირიან ხორცს.

თ. ა.

— **სამტრედია.** სოფელში ავაზაკები თარეშობენ. შემთხვევა იყო ფულის მოთხოვნის იარაღის მუქარით. ერთ ვაჭარს გატაცებას უპირებდენ. ადგილობრივმა ბოქაულმა ენერგიული ზომები მიიღო.

— **ყვირილა.** მუშა ხელის დიდი ნაკლებობაა. მოსავალიც წრეულს შირაპნის მაზრაში ცოტა იყო. ეხლაც სიმინდის დიდი მოთხოვნილებაა. სიმინდის ფასი იწევს, დღეს ფუთი სიმინდი 1 მ. 35 კაპ.

## რუსეთი.

გაზეთების გადმოცემით დეპუტატ მარკოვს სათათბიროს უკანასკნელ სხდომაზე როძიანკო გაულაძლავს

— სახელმწიფო საბჭოში მთავრობის დეკლარაციის საპასუხოდ ფრიად მკვეთრი სიტყვები წარმოუთქვამთ. არაფერი იმის მაგვარი, რაც ეხლა მოხდა საბჭოში, არავის არ ახსოვს. თ-დ. ევგ. ტრუბეცკოის უთქვამს, „ახლოა ის დრო, როდესაც მიტროპოლიტების წინამძღვრობით სამღვდელოება ხელმწიფესთან მივა და სახელმწიფოს ხსნას სთხოვენო.. კარპოვს უთქვამს; ხალხი და ჯარი მსჯავრის დადების მოითხოვს"-ო.

— მარკოვის მოქმედებით სათათბიროში განსაკუთრებით აღშფოთებულნი არიან გლეხი დეპუტატები. „პანღურის კვრით გავაგდებთ სათათბიროდანაც უთქვამთ მათ. კარაულოვს მათთვის აუხსნია, მარკოვის სამუდამოდ გაძევების უფლება არა გვაქვს, მხოლოდ შეგვიძლია წინადადება მოვცეთ რომთვით გაანებოს თვით დეპუტატობასო.

— როძიანკოს მარკოვი ხმალში გაუწვევია.

— საერობო ოქტომბრისტებს მარკოვისთვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ და მას ხელს არ ართმევენ მემარჯვენეთა ფრაქციიდან გასულ პურიშკევიჩს 7 სხვა მემარჯვენე მიუდგა.

— მარკოვიც გაბუტვია მემარჯვენეებს და ფრაქციიდან გასულა.

— პურიშკევიჩ სათათბიროს კულუარებში უთქვამს მარკოვს „ბნელი ძალები" აბედვინებენ თავხედობასო.

„რეჩი" სწერს: „საბჭოში წარმოთქმული ყველა სიტყვები ტაგონცევის სიტყვებით" რუსეთს სიბრთხე მოელის"—ით ხასიათდება".-ო

— ვინ არის პურიშკევიჩის მიერ ნახსენები „ბნელი ძალები"? ამას კითხულობს ყველა სათათბიროში და საბჭოში. საბჭოს წევრმა კარპოვმა „ბნელ ძალებთა" შორის დაასახელა ერთი გვარი, რომელსაც პრესა ყველა უკანასკნელ უწესრიგობას აწერს

— 22 ნოემბრის სხდომაზე მილიუკოვს უთქვამს; „პროგრ. ბლოკი ვერ გახდება იმის თავდები, რომ ეხლანდელი მთავრობა რუსეთის გამარჯვებამდის მიიყვანდეს. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მთავრობასთან თანამშრომლობას დავთანხმდეთო.

— „რუს სლოვოს" ცნობით თ-დ გალიცინს სახ. საბჭოში უთქვამს: ერთ პატივცემულ პირცონების მინისტრის თანამდებობა შესთავაზეს; მან უპასუხა დღიურად მუშაობა არა მსურსო შემდეგ ორატორი ტრეპოვს შეჰკითხებია: თავდები გახდებით იმისა რომ სახელმწიფო საქმეებზე თავის წამრყვნელ გავლენას არ იქონიებენ ის „ბნელი ძალები" და ფარდის უკან მოქმედი პირნი, რომელთა სახლები ტრიბუნიდგან იყო დასახელებულნი. გასაოცარია მხოლოდ რუსის ხალხის თმენა. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს" ო

— ტრეპოვს უთქვამს: „ერთობ აღმაშფოთა სახ. საბჭოში წარმოთქმულმა სიტყვებმა; ვეღარ გაუძელ და სხდომის გათავებამდე დავსტოვე დარბაზი"-ო.

## უცხოეთი.

ბერლინში დაბრუნებული ამერიკის დესპანი გერმანიაში ჯერარდი. გაზეთები ირწმუნებიან, რომ მან ფრიად მნიშვნელოვანი წერილი მოიტანა ვილსონისაგან. ამბობენ, ვითომ ვილსონს მიეწეროს: ამერიკა ომს გამოუცხადებს გერმანიას, თუ უკანასკნელმა, წყალქვეშ ბრძოლის შესახებ ამერიკის პირობები არ მიიღოვო.

— რუსის დიპლომატიური წრეები საბერძნეთის აწინდელ მდგომარეობის შესახებ იმ აზრისანი არიან, რომ მეფე კონსტანტინეს ჯიუტობა მოკავშირეებს აიძულებს ისეთ ზომებს მიმართონ, როგორსაც აქამდი პრინციპიალურად უარყოფდნენ ამის გამო საბერძნეთ მოკავშირეების დამოკიდებულება სახიფათოდ მიაჩნიათ საბერძნეთისათვის.

— ინგლისში ახალი „სამხედრო საბჭო" შემდგარა. ამ საბჭოში შედიან ასკვიტი, ლოიდ ჯორჯი, ბალფური, ბონარ ლოუ და სერ ედუარდ კარსონი. [illegible] მთლიანად შევლენ ... [illegible] თან ექსპერტებად იქნებიან. სამხედრო მინისტრი ჯელიკო და გენერალურ შტაბის უფროსი რობერტსონი.

— დამოუკიდებელ პოლონეთის „ნაციონალურ საბჭოს" დაარსების შესახებ მოლაპარაკება ავსტრიისა და გერმანიის შორის უკვე დამთავრებულა. საბჭოს წევრებს გერმანიის მთავრობა დანიშნავს.

გერმანიაში საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღების გამო ფრანგული გაზეთები გერმანელთა ენერგიის და ფრთხილ გონებას აღნიშნავენ. ზოგს გაზეთს საჭიროდ მიაჩნია, რომ საფრანგეთშიაც იქნეს შემოღებული შრომის ბეგარა.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 „ |
| | დილის | 5 ს 55 „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 8 ს. 18 „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 18 „ |

**ექიმი მულინი**, ყელის, ცხვირის და ყურების ლეჩუდობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირის გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულუკიძის ყოფ.)

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. უველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)